

579
1958,

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



დედა

„დედა, ტურფი ძაღვზე,
იღისზე, იფრო მზარეო,
და შენე ქართულო, სწულაღია
სამსობლო ეაბარეო!“

№ 7


საპარტოზლოს აკაკი ცხენბრალური კომიტეტისა და
3 ი. ღმინის საბავშვოს ნოქა პიონერეთა
ორგანიზაციის რედაქციური საბავშვო ჟურნალი

ნოვინი
1958

ზღვაზე

გრიგოლ ავაშიძე ნახატი ბ. კლინიხვილისა

ეს სღვა როგორ არ მიუვარდეს,
ნაფები და იალქნები...
ჰორიზონტზე გემის ლანდი
თვალთ ოდნავ მისაგნები.
ცაში თეთრი თოღიები
ქარის ფრთებით ნატარები,
სღვის. ნაპირზე უთვალავი
მუსით დამწვარი ჰატარები.
როგორ სწრაფად მიდის ტალღა,
აფრანს როგორ არსევს სიო!
სღვა მუხანის და კვლავ მინდა,
გრილ ტალღებში გავსვიო!



გალეგრაჲ ანგარქოილიან



ჟურნალ „დილას“ რედაქციამ ამას წინათ თავისი მკითხველების სახელით მისალმება გაუგზავნა შორეულ ანტარქტიდაში საბჭოთა ექსპედიციას, სადაც მონაწილეობს პირველი ქართველი ინჟინერი ანტარქტიდაში გარსევეან კურდღელაიძე.

პატივცემულმა გარსევეან კურდღელაიძემ არ დააყოვნა და გვიპასუხა ასეთი შინაარსის ტელეგრამით:

თბილისი, ჟურნალ „დილას“ რედაქციას.
ანტარქტიდა, სადგურ „პიონერსკაიადან“
12 მაისი, 1958 წ.

მეიროვსო მეგობრებო! სადგურ „ნიონერსკაის“ კოლექტივი გულითად მადლობას ვითვლით კეთილი სურვილებისა და ეურადღებისათვის. მეტად გაგვიხარდა, რომ „დილას“ რედაქციას და მის ჰატარა მკითხველებს ასე აინტერესებთ საბჭოთა ექსპედიციის მუშაობა ანტარქტიკაში.

საერთაშორისო კოოფინიკური წლის გეგმით ანტარქტიკის მესამე კომპლექსური ექსპედიცია განაგრძობს ანტარქტიდის ბუნების გამოკვლევას.

სამი ექსპედიციის თავდადებული შრომით თბსერვატორია „მირნის“ გარდა შეიქმნა კიდევ შიდაკონტინენტური სადგურები „ნიონერსკაია“, „ოასისი“ და „კომსომოლსკაია“, რათა ეინულოვანი ანტარქტიდის ჰავა და ატმოსფერული პროცესები უფრო მეტი დაკვირვებით შესწავლონ. წელს მათ მიემართა სადგური „კოსტოვიც“. ამ სადგურების კოლექტივს შიმიე ზირობებში უსდება მუშაობა. ჩვენი სადგური „ნიონერსკაია“ 1956 წელს დაარსდა. ის სამხრეთ განედის 69 გრადუსს 44 წუთზე, ხოლო აღმოსავლეთ გრძედის 95 გრადუსს 34 წუთზე მდებარეობს, ზღვის დონიდან 2700 მეტრზე.



„ზიონერსკაიას“ რაიონში განუწყვეტლივ ბოტოქრობს სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი, სძირი სტუმარია ქარბუქიც. ამიტომ სადგურის შენობები დაფარულია თოვლით. მისი სიმაღლე ვოველწლიურად მატულობს, — ახლა ალაგ-ალაგ 8 მეტრსაც აღწევს; ნამქერში ჩაფლული საცხოვრებელი სახლები თუ საწოლები ერთმანეთთან თოვლის კვირბებითა და საოცარი გამოქვაბულებით არის დაკავშირებული. ჩვენმა პატარა კოლექტივმა ცვლის შემდეგ არ დაიზარა ფიზიკური პრობა, შეერკინა ეინულს, გამოამტკრია 150 კუბომეტრი გაყინული თოვლი და თოვლქვეშა სადგომებისა და დერეფნების რიცხვი გაადიდა.

შიდაკანტინენტური სადგურები იკვლევენ დედამიწის მაგნეტიზმის ელემენტებს, სწავლობენ მეტეოროლოგიას, აქტინომეტრიას, აეროლოგიას, გლიაციოლოგიას, აკვირდებიან ზოლარულ ციანს. მეტად ძნელ ზირობებში გვისდება მუშაობა, — წარმოიდგინეთ, გამუდმებით ძლიერი ქარი, თოვლის ბუქი, მძაფრი ეინვები.

ძვირფასო მეგობრებო! ახლა თქვენთან თბილი, მხიარული საფხული დგას, ჩვენთან კი ზირიქით, ვველასე შიშე დრო დგება. რამდენიმე დღის შემდეგ მსე უკანასკნელად გამოიხდება ცის კიდურზე და შემდეგ 22 ივლისამდე დაიძალება. სადგურებზე გამეფდება ზოლარული დამბები, კიდევ უფრო გამდიერდება ეინვა. მაგრამ ზოლარულთა გამძლეობა, იმედიანი და სიცოცხლით სასეე სასიათი, მტკიცე მეგობრობა, ერთსულოვანი მუშაობა ძალას მატებს და ასულდკმულებს ვველა ჩვენგანს.

ძვირფასო ბავშვებო! სადგურ „ზიონერსკაიას“ კოლექტივი გისურვებთ გამარჯვებას ცხოვრებაში. ისწავლეთ კარგად, იყავით ერთგული მეგობრები, ამხანაგი განსაჯირში არასოდეს მიატოვოთ, დაეხმარეთ ერთმანეთს სწავლაში, მოიქეცით ისე, რომ მასწავლებელს საკლასო ოთახში შემოსვლა უხაროდეს. მაშინ სკოლასაც წარჩინებით დაამთავრებთ. შემდეგ ბევრი თქვენგანი შვეა უძაღლეს სასწავლებელში და შეიძლება შეცნიერ-მკვლევარაც გამოვიდეს.

ნახვამდის, ძვირფასო მეგობრებო! როგორც კი დაებრუნდებით, უთუოდ შეგხვდებით და ვველაფერს დაწვრილებით გიამბობთ.

ჩემი სალამი ჟურნალ „დილას“ ვველას შკითხველს!

პარასკევა კარლელიძე

საბჭოთა ანტარქტიკული ექსპედიციისა და მიხი მონაწილის ვარსკვლავი კურდღელია-


მის გმირული მუშაობის შენახებ მოგიტობრობთ ჩვენი ჟურნალის შემდეგ ნომერში.



ოქტომბრელებმა კარგი მეგობრობა იცნან. კითხულობენ და ხატავენ, თამაშობენ და მღერიან, დროს მხიარულად ატარებენ.

ქვემოთა ნახშილი

აინონა და აინონა



რ. პეკინა, ნ. შაილოვა

ნახატები რ. ხუხუჩიძისა


— ბესიკო, ვინ ჩხუბობს?—გაღმოს-
დახა ზემოდან თამარმა ბესიკოს, ჭიშ-
კართან შეჯგუფული ბავშვები რომ დაი-
ნახა.

— ვინ უნდა ჩხუბობდეს, არავინ,—
ჩაიბუტბუტა ბესიკომ და კიბეები სწრა-
ფად აირბინა.

ჭიშკართან ბავშვების ჯგუფი თანდა-
თან იზრდებოდა. თამარიც იქით გაე-
შურა. ბავშვების რკალი სწრაფად გა-
არღვია და კედელთან აღმოჩნდა. კედელ-
ზე ქაღალდი იყო გაკრული. ცალ მხა-
რეს წითელი ვარსკვლავი ეხატა, მეორე
მხარეს კი—საქანელა.

„თქვენი ეზოს პატარებს და ოქტომ-
ბრელებს, ყველას, ყველას!“ ვინ იცის,
მერამდენედ წაიკითხეს ბავშვებმა; მაგ-
რამ რაკი თამარმა კითხვა არ იცოდა,
ალიკომ მის გასაგონად ერთხელ კიდეც
წაიკითხა: „მწვანე პარკში სათამაშოების
მოედანი მოვაწყეთ, თქვენ გელით „სა-
ქანელა“ და „მოსიარულე ხის ცხენი“,
„ორთვალა“ და „აიწონა-დაიწონა“, „მო-
სრიალე სავარძლები“ და „მფრინავი
ნავი“.—ოქტომბრელებო, მოლით ჩვენ-
თან სათამაშოდ!“

განცხადების ქვემოთ საქალაქო ბანა-
კის რამდენიმე პიონერის გვარი და სა-



ხელი ეწერა. მათ შორის მეზობელი მა-
იას სახელიც გაიგონა თამარმა და გან-
ცვიფრებისაგან თვალეები გაუფართოვდა.

— „საქანელა“ და „მფრინავი ნავი!“ რა
კარგია! — ჩაიბუტბუტა და შინისაკენ
მოუსვა.

ბესიკომ ყველას ჩამოურბინა და მიახა-
რა: სათამაშოდ პარკში უნდა წავიდეთ.
დღეღამ უარი უთხრა, — აგერ ეზოში ჩადი
და ითამაშეო.

— სულ ერთია, წავალ, აი, ნახავთ, თუ
არ წავალ! — ბესიკოს ყვირილს მალე თა-
მარმაც მისცა ბანი:

— მეც წავალ, მეც წავალ, აი, ნახავთ,
თუ არ წავალ.

ლიდნანს იყვირეს თუ ცოტა ხანს,
ბავშვები თითქმის ერთდროულად ჩაჩუმ-
დნენ. მშობლებმა წასვლის ნება დართეს,
რადგან მიაიცი შეეხვეწა, ერთად წავალთო.
ბავშვები აივანზე გამოვიდნენ, ერთმა-
ნეთს ხელი ჩასქიდეს და მოედნისაკენ
მოჰკურცხლეს.

— არჩევანი მე! — თქვა გზაში ბესი-
კომ.

— არადანი მე! — გამოეპასუხა თამარი.

— ჯოხის ცხენი — მე!

— საქანელა — მე!

ის იყო ბავშვებმა სათამაშოები
გაინაწილეს, რომ პარკის ჭიშკარშიც
შევიდნენ. ჯერ აგურის ფხენილით მო-





ფენილი გზა გადაიარეს, შემდეგ მწვანე ბუჩქნარი.

აი, სათამაშოების მოედანიც. მაიამ ორივე სათამაშოებთან მიიყვანა.

ბესიკო მოსიარულე ცხენისაკენ გაქანა და მკვირცხლად მოახტა.

— ცხენი მე მინდა, ჩამოდი ახლავე,— ატირდა თამარი.

ტყუილად მოაგონა ბესიკომ, შენ ხომ „მფრინავი ნაღვი“ აირჩიეო. თამარი არ ცხრებოდა. ბესიკომ ერთიცი გააქანა ცხენი და ატირებულ გოგონას მალე დაუთმო. თამარმა გაიღიმა და ცხენზე მოხერხებულად მოიკალათა.

ბესიკო კი მაიამ „მფრინავ ნაღვი“ ჩასვა და გააქანა. ბიჭი ნავიანად ისე მალლა აფრინდა, გეგონებოდათ, ბამბის ქულისავეით თეთრ ღრუბლებს ხელს შეახებოსო.

— კარგია, ბესიკო?— შეეკითხა მაია.
— ო, რა კარგად დაფრინავ, — მოი-

სმა ზემოდან ბესიკოს ხმა.

— მეც მინდა აფფრინდე, აბა, ჩამოდი,— ცხენი მიატოვა გოგონამ და არ მოისვენა, ვიდრე მფრინავ ნაღვე ბესიკოს ადგილი თვითონ არ დაიკავა.

— შენ რა სულ ჩემი სათამაშოები მოგწონს,— აბუზღუნდა ბესიკო და ისეთ სათამაშოს დაუწყუო ძებნა, რომელშიაც თამარი არ შეეცილებოდა.

— საქანელა არ მინდა, არც მოსრიალე სევარძელი,— ფიქრჩულებოდა ბესიკო მაიას.

— „აიწონაზე“ ავალ,— უცებ შესძახა ბიჭმა და ცისფრად შეღებილ აიწონასაკენ გაიქცა.

— მეც მიყვარს „აიწონა“, მომიცადე,— მოისმა თამარის ხმა.

ამ სათამაშოს წართმევაც მოუნდა თამარს, მაგრამ აღარ უჩხუბიათ, ორივე ზედ კარგად მოთავსდა.

— ერთი, ორი, ერთი, ორი!.. — ითვლიდა მაია.

— აიწონა! — ყვიროდა ბესიკო.

— დაიწონა! — იცინოდა თამარი.





ქო

6. კაღვა

ნახატი პლ. გიგოლაშვილისა

შავ ბიჭუნას, სახელად ჯოს რომ ეძახიან, ხშირად შესვდებით სკოლისა და საჯაჭრო ქუჩების კუთხეში. სიცხესა და სიცივეში, წვიმასა და თოვლში ზის ხოლმე თავის ეუთთან, ჯაგრისებით, ფეხსაცმლის საცხით და გაჭევირის:

— აბა, გავწმინდოთ წაღები! აბა, ვევალებს ჩინებული საცხი! ვევალებს რბილი ჯაგრისები! ჯაგრისებს დავატრიალებ, — ფეხსაცმელს გავაკრიალებ!

ასე ენატოკება ჯო გამვლელ-გამომვლელს და თან ზის ეუთზე ჯაგრისებით უერაჯს მხიარულ საცეკავოს.

მაგრამ შავ ბიჭს სახე სულაც არა აქვს მხიარული. მისხვევებში, საჯაჭრო ქუჩაზე, თამბაქოს მალახია აქვს სმიტს. იმ მალახიაში ჯოს დედა მუშაობს — იატაკს რეცხავს და თამბაქოს ნაძწვებს გვის. სკოლის ქუჩაზე კი დიდი სკოლაა, სადაც ჯოს თანატოლი გოგონები და ბიჭები სწავლობენ.

თავისი კუთხიდან ჯო ხანდახან მოჭკრავს თვალს დედას, რომელსაც ხან ვედრო უჭირავს, ხან ჩვარი. სკოლისაკენ მიმავალ გოგო-ბიჭებს კი იგი ეოველდღე სედავს.

ჯოს ვევალებს ძალიან ამ ქვეყნად სკოლაში სწავლა ენატრება, აი, იმ დიდ და ლამაზს შენობაში, სკოლის ქუჩაზე რომ არის; ოცნებობს, სკოლაში მიმავალს მასაც ეჭიროს ტყუვის ჩანთა ახალი სახელმძღვანელოებით, იჯდეს მერსზე და შესვენების დროს კალათბურთი ითამაშოს სკოლის ეზოში. მაგრამ ჯომ იცის, რომ ეს შეუძლებელია. მას შემდეგ, რაც მამამისი ომში მოჭკლეს, იგი ოჯახის უფროსი გახდა და უნდა იმუშაოს ღუკა ზურის საშოვნელად, უნდა დაეხმაროს დედას უძცროსი ძმების გასრდაში.

ზის წატარა ჯო ქუჩაში სიცხესა თუ სიცივეში, თოვლსა თუ წვიმაში და გაჭევირის:

— აბა, გავწმინდო წაღები! აბა, გავკრილოთ ფეხსაცმელი! მობრძანდით, იჩქარეთ!..

და არაკუნებს შავი ბიჭი ჯაგრისებით მხიარულ საცეკავოს, თუძცა კულზე დიდი დარდი აწევს.

თარგმნა გ. ნადარეიშვილმა



არ დაივიწყო

ლალ სულაბაძე

მასწავლებელი პირველი
არ დაივიწყო, გახსოვდეს,
მან შეგასწავლა ანბანი
„ანი“-დან ბოლო ასომდე.
მან „დედა ენა“ გასწავლა,
ტკბილი ლექსი და ზღაპარი,
მან მოგცა ხელში პირველად
წიგნი—ცხოვრების ლამპარი.
არ დადეგებზე, ზაფხულში,
როცა ეწვიე ბებიას,
ყოჩაღ, რომ მასწავლებელი
წუთით არ დაგვიწყებია.

შენ რომ მისწერე წერილი
სუფთად, ლამაზი ხელითა,
მისგან პასუხიც მიიღე,
გაშალე ცეკვა-ლხენითა,
გწერდა: „მადლობა, ტისანა,
მივიღე შენი წერილი,
მაგრამ ორ ადგილს, გოგონავ,
ასოა გამორჩენილი“.
ხედავ, პატარა შეცდომა
არ გაპატია ბარათშიც,
ყოველი ფეხის ნაბიჯზე
ყოფილა შენი დარაჯი!

თინიკო და ნისლა

ნასკორ მაღაზონია

ნახატი პ. როინიძისა



თამაშობდნენ,
დახტოდნენ
თიკანი და თინა.
წუხდნენ,
ერთად ლამითაც
რომ არ ჰქონდათ ბინა.
მაგრამ მალე თიკანმა
რქები დაიმშვენა
და ვაცვივით ისწავლა
ჯახუნე და რქენა.
თავს გადასწევს,
შეხტება
და ორ ფეხზე დგება.
თინა ყვირის:
— მიშველეთ!
მომეშველეთ, დედა!
— ხუმრობს, შვილო, თამაშობს
კუნტრუშა და ანცი!—
მაგრამ თიკნის ხუმრობას
როგორ ენდოს კაცი?
ემონია თინიკოს
მასთან ახლოს მისვლა...
და დაშორდნენ ერთმანეთს
თინიკო და ნისლა.



გივი და ყურცქვიტა

ლ. ჭიჭინაძე

ნახატი ბ. როინიშვილისა

დადგა ზაფხული, ქალაქში სიცხე ჩამოწვა. საბავშვო ბაღში ბავშვებს გამოუცხადეს: აგარაკზე წაგიყვანთო. უფროსმა ბავშვებმა ტაში შემოჰკრეს: უჰ, რა კარგია, რა კარგაო, იძახდნენ. პატარები კი აიბუნენ. ყველაზე მეთად გვიმ მოიწყინა.

— გივი, რატომ დაღონდი? — შეეკითხა მასწავლებელი.

— მე. აქ მინდა.

— აქ აღარავინ იქნება, მართო ხომ არ დარჩები? იცი, იქ რა კარგი ჰაერია, რა სივრილეა... ტყე გინახავს?

ბიჭმა თავი გაიქნია, არ მინახავსო.

— მაშ ტყესაც ნახავ!

ვერ იქნა და ვერ დაითანხმეს გივი. მას ეშინოდა, რომ იქ დედა არ მივიდოდა და შინ არავინ წაიყვანდა.


ერთ დღეს საბავშვო ბაღში დიდი ფუსფუსი შეიქნა: ბარჯს ჰკრავდნენ, სათამაშოებს ყუთებში ალაგებდნენ. გივი გაკვირვებული შეჰყურებდა გამხიარულებულ ბავშვებს. ამ დროს მასწავლებელმა გივის პატარა ვალია მიუტანა, რომელშიაც კურდღელი იყო. თვალმდაკუსული ყურცქვიტა ჩქარ-ჩქარა სუნთქავდა, ფერდები ერთმანეთზე აწყდებოდა, თითქოს სირბილით იყო დაღლილი.

— გივი, — უთხრა მასწავლებელმა, — ამ კურდღელს შენ ვაბარებ. ძალიან მშინაარა და მანქანის გუგუნმა გული არ გაუხეთქოს. აბა, კარგად მოჰკიდე ხელი ვალიას. აქედანაც შენ წამოიყვან და იქაც შენ მოუვლი.

გივიმ ხელი ჩაავლო ვალიას, თვალს აღარ აშორებდა ყურცქვიტას. ავტობუსში თვითონ აიტანა ვალია, მარჯვე ადგილზე დაჯდა. გულაფანცქალებული კურდღელი მავთულის ბადეს ხან აქეთ აწყდებოდა, ხან იქით. გივი კი ამშვიდებდა:

— ნუ გეშინია, ჩვენთან არ მოგწყინდება. იცი, იქ რა კარგი ჰაერია! ტყესაც ვინახავთ!..

აი, როგორ წაიყვანა პატარა ყურცქვიტამ ჩვენი გივი აგარაკზე.





მკობა ბუნთი



პანკაძე ქანაძე

ნახატები ირ. პარიზვილისა

მარიამ დიდხანს ათამამა თავისი ზიზია ბურთი, მერე ფეხი გაჰკრა. ბურთი საწოლის ქვეშ შეგორდა. გლეგონამ საწოლთან დაიჩოქა, ბევრი ეხვეწა, ბევრი ემუდარა: გამოდრი და კვდავ ვითამაშოთო, მაგრამ ბურთმა ყურიც არ ათხოვა. არც კი განძრეულა, იღო და იღო ერთ ადგილას კედელთან აკრულდი.

მანია გაიბუტა. დაჯდა თავისთვის საწოლისკენ ბურგ-შექცეული და იყო და იყო ასე. ამასობაში ბებიაც შემოვიდა შინ და ჰკითხა:

— რატომ გაბუტულხარ, ვინ გაგაჯავრა?

მარიამ წაიბუზღუნა:

— ბურთი გამებუტა და მეც გავებუტე!

— რატომ გაგებუტა?

— აბა, რა ვიცო... ახტა, დახტა და საწოლის ქვეშ შეგორდა. ვეხვეწე, ვემუდარე, მაგრამ არ გამოვიდა...

ბებიას გაეცინა:

— ა-ა-ა!.. შე ეშმაკო, შენა! აღბათ, ოთახში მოჰყვივი შენებურად თამაშს და იმიტომ გაგებუტა! თუ ეზოში გაიტან და ითამაშებ, იქ უთუოდ შეგირიდებ!





წიწკანა

3. შიშველი

ერთხელ მე და ჩემი ამხანაგი მერაბი ჭალაში ვნადირობდით. ერთი ძალიან სუსე შორიდანვე შევნიშნეთ რაღაც დიდი, შავი საკანი.

უცებ იქიდან ვუღის არწივი აფრინდა და ხის კუნწეროებს იქით მიიძალა.

ასლოს რომ მიველით, გავარჩიეთ: ხის ტოტებში ფიჩხი იყო ჩაწობილი.

— ბუფა, — თქვა მერაბმა და ხეზე ასვლა გადაწყვიტა.

მე ქვევით დავრჩი იოფით: თუ არწივი დაბრუნდებოდა, სროლით დავაფრთხოებდი.

ამ დროს ხიდან გუფევითულა, ნაცრაფრთიანი წიწკანა გამოფრინდა და მუმფოთებული ჭევილით ხის გარშემო დატრიალდა.

— რა არის? — დავუკვირე მერაბს.

— ბუფა. ოღონდ კვერცხებია მარტო... ბიკოს, ეს რაღაა?! — შესძახა მან.

— რა იყო?

— შიგ იმ ფიჩხებში კიდევ ჰატარა ბუფა და ჰაწაწინა ბარტკეიი სხედან.

მაშინვე მივეხედი, რამ შეამფოთა წიწკანა. ეს სომ მისი ბუდე იყო, ჰაწაწინა ბარტკეით.

ჭკვიანმა წიწკანამ არწივის ბუდეშივე მოიწყო ბუდე. მან მშვენივრად იცოდა, რომ დიდი არწივი მას ხელს არ ასლებდა; არწივის შიშით კი არც სხვა მტაცებელი მიეკარებოდა მის ბუდეს.

მერაბს დავუძახე, ხელი არ ესლო ბუდეებისათვის. ის მირს ჩამოვიდა და ჩვენც გზას გავუღვეით.

წყლის შაშვი

არღუნის ხეობაში მოგზაურობისას სმირად ვხედავდი ჰატარა, კუდმოკლე, მოშავო ჩიტებს. ისინი შუა მდინარეში ამომკვირდ სივ ლოდებზე ჩამოსხლებოდნენ და არხეინად ტიკტიკებდნენ; თითქოს ვერც კი ამჩნევენო გარშემო გიჟი მდინარის აქაფებულ ტალღებს.

მერე გაქანდებოდნენ და კარგი მოცურავესაკით — ტყაპ! — წყალში გადაეშვებოდნენ.

სომ არ გგონიათ, ეს ჩიტები თავს ისრჩობდნენ?

არა, ესენი წელის შაშვებია. ჩაუვინთავენ მდინარეში და ფრთების მოსმით პირამდე ჩადიან. ბუმბული გაქანილი აქვთ და გარშემო ჰაერის ბუმბულები დაასხდებოთ სოლმე. ზემოდან რომ დახედო, წყალში ვერცხლისფერი თევზებიც გგონება.

ღარბის წელის შაშვი ფსკერზე და ატრია-

ლებს კვსებს, მერე იქიდან წელის სოკოს ამოთრევს და ამოყვინთავს.

ერთი წუთის შემდეგ ისევ ლოდზე ზის შუა აქაფებულ მდინარეში და მსიარულად ტიკტიკებს.





ჩხუბის

ესომ თავის უმცროს დაძმას სახატავე რეულები მოუტანა. ნანას ორი რეუელი მისცა, ჰაატას—სამი.

— რად უნდა ჰაატას ამდენი რეუელი, მე უფრო მეტი მჭირდება!— აბუსულუნდა ნანა.

— არაფერიც, — გააწვევტინა ჰაატამ, — მე შენზე ბევრს ვსატავ.

— სამაგიეროდ, მე უფრო ლამაზად ვსატავ, მომეცი ერთი რეუელი, შენ ორიც გუოოდა.

— არ მოგცემ, — სურგს უკან გადაძალა ჰაატამ რეულები.



შეხვევ

— მომცეს რა, რეზო, — შესჩივლა უფროს ძმას ნანამ, — მომცეს, თორემ სულ დაუუტყნოწავე!

— გაჩუბდით! — წამოიუვირა მოთმინებიდან გამოსულმა რეზომ და ჰატარებს თავზე დაადგა, — დამბორუნეთ უკან რეულები. ჩქარა, რაღას ელოდებით!

ნანამ და ჰატამ ძმის საჩუქარი მაგიდაზე დააწვევეს.

— ეს ერთი რეუელი ნანას, — თავიდან დაწუო გაწაწილება რეზომ, — ერთიც შენ, ჰატა! დანარჩენი სამი კი — მე, რადგან თქვენზე კარგადაც ვსატავ და მეტსაც ვსატავ, გასატავებია?!

სონია ყინიანი



პულა კინიძე

მოლის მატარებელი — ჩიკ-ჩიკ-ჩიკ! შეიძინეთ ბილეთი, სულ იაფი ღირს!

დამუხვიუნენ ტოლები ვით ფუტკარი სკას, ვავონებად მოვაბამთ საგარძღებს და სკამს.



სახატამ ზ. მუთხაძისა

აბა, გასწი, გაჭროდ, გაუსწარი ქარს! ჩქარა, თორემ წასვლისას არ გავილებთ კარს.

მოქრის მატარებელი — ჩიკ-ჩიკ-ჩიკ! შეიძინეთ ბილეთი, სულ იაფი ღირს!

ფერადი

ღედის წინ მორბენალ



ბაგოსანები

ღამე გზას იკვლევს ზუნუნით, ღღისით აწინებს უოველი! ფრინავს, ფრინველი არ არის, ძუძუს სწოვს, როგორც ცხოველი!...

რ. მამაია

ნახატები ან. კახლაძისა



მე მაქვს ფაფაკი კული და ქელი, ძალიან მიყვარს თევზი და ყველი!...

ა. აშიანაშვილი



ნახატები

გონარი

დათომ ფეხსაცმელები ჩაიცვა, ზონარები კი არ შეიკრა.

— შეიკარი, თორემ სიარულში დაგიშლის! — გაათურთხილა ბებო.

— არაფერაა არ დამიშლის, აბა, მიყურებ კარგად! დათო გაიქცა: ბაკ-ბუკ, ბაკ-ბუკ!.. უშხაღ ზონარს ფეხი წაშოსდო და იატაკზე გვიშლართა.



ა. იმანაშვილი




რიგ-რიგად იკუთვებიან ქიემი ფულუროდნა, ვარეთ ვამოდიოთ, არ შეგვამოთ თქვენ ზანცავალოთ



წყალში ზის არ არის, ბალახს ძოვს არ არის.

ხარბი დათუნები



ფერადი

შეჭამსო.



ტიყვი

ღახში

ჯანაღ ზანაღანი აბა, ლახტი... გვერდზე გახტი ბიჭი თუ ხარ ფრთამალი, კახას ცხვირწინ მიუგორდი, ააყაღე ქმარი! აბა, ლახტი... გვერდზე გახტი, ავახუროთ მამუკა, ზანა მიჭო, საღამურზე საჭიღო დაუკარ!



ნახატები ანაზა

კარლ კრამადი

სკუბ, სკუბ, სკუბ! — გაღასტვება ცოცკი; სკუბ, სკუბ, სკუბ! — თხილს უბუბი იურის. ზტის, ზტის, ზტის! ზტება ზესე; ზტის, ზტის, ზტის და ისევ თხილს ეჭებს.

ოებუსი



“ “ ნე ” ”

ჩებუსი შეუღვინა ზანა იმანაშვილი

ღულუნებს არ არის, აბა რა არის?

ნახატები ვამიყანა

შეუღვინა ა. იმანაშვილი



ღამაზი ხელები

ინდური ზღაპარი

მდინარე ჯამნის პირას სამი მდიდარი ქალი ერთობოდა, — ერთმანეთს წყალს აშხეფებდნენ და თან თავს იწონებდნენ, არა მე მაქვს ღამაზი ხელები და არა მეო.

— ჩემი ხელები ყველაზე ღამაზიაო, — ამბობდა ერთი.

— არა, ჩემი ხელები სჯობსო! — იძახდა მეორე.

— რას ამბობთ, ჩემს ხელებს რა შეედრებო, — იკეხნიდა მესამე.

ამ დროს ქალებს ერთი დავრდომილი დედაბერი მიუახლოვდა და სთხოვა: დედა-შვილობას, მოწყალება მოიღეთ და რამე მაჭამეთო. ქალებმა დედაბერს ერთი ლუკმა პურიც არ მიაწოდეს და ეს ჰკითხეს:

— გვითხარი, დედაბერო, რომელს უფრო ღამაზი ხელები გვაქვს?

— ჯერ ცოტა დავნაყრდები და შემდეგ გეტყვით, — ჩაიჩიფჩივა მოხუცმა და ლასლასით განაგრძო გზა.

შორიახლოს, მდინარის პირას ერთი საწყალი გლეხის ქალი იჯდა. მთელი დღე მინდორში მუშაობისაგან ხელები გარუჯული და დამწვარი ჰქონდა.

მოხუცი იმასაც შეევედრა:

— დამშეული ვარ! ღვთის გულისათვის ერთი ლუკმა პური მომაწოდეთო.

— რაცა მაქვს, ღიდი სიამონებით გაგიყოფ, — მიიუო გლეხის ქალმა.

დედაბერი დანაყრდა, ზედ წყალი დააყოლა და გლეხის ქალს გულითადი მადლობა გადაუხადა. მერე ხელი ჩაჰკიდა და მდიდარ ქალებთან მიიყვანა.


— აი, ახლა კი გეტყვით, ვის უფრო ღამაზი ხელები აქვს. ამ საწყალი ქალის შავზე შავმა და დაკორძებულმა ხელებმა მშვიერი მათხოვარი დამაპურეს. ამიტომაც თქვენს სათუთსა და თეთრზე თეთრ ხელებს ათასჯერ სჯობია!



ესა თქვა დედაბერმა და გაუდგა თავის გზას.

მდიდარი ქალები კი სირცხვილით დაიწვენენ.

თარგმნა ნ. თოფჩიშვილმა



ყდის მხატვრობა ვუფუნის შ. მხალაქს

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მაცვალა მრეველიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფიშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) ბაგოციმის ოცდამეთერთმეტე წელი ჴასი ჰ მან.

რედაქციის მშემოსული მსსალეზი ავტორებს არ უბრუნდებათ.

Д И Л А — смешанный детский журнал ЦК АКМГ Грузии в Республканского совета организации юных пионеров им. В. И. Ленина № 7, июль 1958 г. Тбилиси, Просп. Пашаганова 91.

სბალიტბამი, რედაქციის მსსამართო: მბილისი, პლბზნოვის სბიბსი. 91, ტბლ. 3-37-28. ვამბიყ. შუაკკ. № 261, სტამბის შუაკკ. № 1054 ტბრაკი 77080 უყ 02.708 ხბლმოწარმბილიც დასბაბუდალ 28/V 1958 წ. ჟურნალ დაბეჭდილია ლბიო-ოყუნბტბრ ბეჭდბის უბრაკაშა



